



სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით

უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორს

ბატონ ირაკლი მხეიძეს

რეკომენდაცია

(სტიქიის შედეგად დაზარალებული - ბ. ზ.-ს ოჯახის განსახლებაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით)

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი

საქართველოს სახალხო დამცველს სტიქიის შედეგად დაზარალებულმა ბ.ზ.-მ განცხადებით მიმართა, რომელიც მისი ოჯახის უსაფრთხო ადგილას განსახლებას შეეხება. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაცია საფუძვლად დაედო წინამდებარე რეკომენდაციას.¹

1. ფაქტობრივი გარემოებები:

ბ. ზ.-ს საცხოვრებელი სახლი (მდებარე:) დაზიანდა სტიქიური მოვლენების შედეგად და გახდა საფრთხის შემცველი მობინადრეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. აღნიშნულის გამო ოჯახი მუნიციპალიტეტის სოფელ ში განსახლდა, თუმცა ამჟამინდელი საცხოვრებლის მიმდებარე განვითარებული სტიქიური პროცესები ასევე საფრთხის შემცველია.

საქმის შესწავლის პროცესში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის სოფელ ში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო საცხოვრებელი სახლების დაზიანება და სარდაფების დატბორვა. 2002 წელს შპს მიერ ჩატარდა სოფლის ტერიტორიის დეტალური

¹ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 5 სექტემბრის N IDP 6 22 00277986, 2022 წლის 10 ოქტომბრის IDP 2 22 00401163 და სსიპ გარემოს ეროვნული

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები და დადგინდა, რომ სოფლის ტერიტორიაზე არსებული სახლების დაზიანების მთავარი მიზეზი გრუნტის წყლების დონეების ცვალებადობით გამოწვეული გრუნტის ჯდენადი პროცესები, კერძოდ თიხური გრუნტების თვისებების მკვეთრი დაქვეითებაა (პერიოდული გაჯირჯება-დაჯდომა და შესაბამისად წნევითი და კუმშვადი მოვლენების მნიშვნელოვანი გაზრდა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბ. ზ.-ს ოჯახმა უსაფრთხო ადგილას განსახლების თაობაზე სააგენტოს განაცხადით მიმართა და შეავსო შესაბამისი კითხვარიც. ოჯახს განაცხადის განხილვის შედეგად მინიჭებული ჰქონდა 17.5 ერთეული ქულა, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- საცხოვრებელი სახლის II კატეგორიის დაზიანება - 7 ქულა;²
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია - 0.5 ქულა;
- ოჯახში არის 3 არასრულწლოვანი წევრი - 3 ქულა;
- ოჯახის შემადგენლობაში არის 7 წევრი - 1 ქულა;
- ოჯახს არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში - 6 ქულა.

განმცხადებლის ოჯახის საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხი 2022 წლის 11 ივლისს განიხილა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელმა კომისიამ და განხილვის შედეგად ოჯახს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 20 ივლისის N ბრძანების საფუძველზე უარი ეთქვა განაცხადის დაკმაყოფილებაზე. უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძველად აღნიშნულია, რომ ოჯახი არ საჭიროებს გადაუდებელ განსახლებას.

2. სამართლებრივი შეფასება:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 20 ივლისის N ბრძანება, რომლითაც ბ. ზ.-ს ოჯახს უარი ეთქვა განსახლებაზე, არღვევს განმცხადებლისა და მისი ოჯახის უფლებას სათანადო საცხოვრებელზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველო, კონსტიტუციის მიხედვით არის სოციალური სახელმწიფო და აღნიშნულის ერთ-ერთი გამოვლინებაა ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე ზრუნვა.³ სოციალური სახელმწიფო თავის მხრივ არის სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე.⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ სოციალური სახელმწიფოს მიზანი სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება,

² საცხოვრებლის დაზიანების კატეგორია განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

³ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁴ ცხადაძე თ., კონსტიტუცია და სოციალური სამართლიანობა: სოციალური სახელმწიფოს დეკლარირებული პრინციპის შინაარსის ძიებაში, „საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ“, 195.

საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის, შეძლებისდაგვარად, თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალური პირობების შექმნა. ხსენებული მიზნები, ობიექტური გარემოებების გამო, შესაძლებელია სრულად ვერ განხორციელდეს, თუმცა მათი მიღწევა სახელმწიფოს მუდმივი ამოცანა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს.⁵

საერთაშორისო დონეზე ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორცაა „იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები“, განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს იძულებით გადაადგილებულ პირად. დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და **სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს** და ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი. ამდენად, ეკომიგრანტები მიჩნეულები არიან იძულებით გადაადგილებულ პირებად და ის სტანდარტი, რასაც

„იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები“ ადგენს ვრცელდება ეკომიგრანტებზეც. მართალია მითითებული დოკუმენტი არ არის სახელმწიფოებისათვის შესასრულებლად სავალდებულო, მაგრამ მასში ასახულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპები და იგი ძირითადი სახელმძღვანელო უნდა გახდეს სახელმწიფოებისათვის. „იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები“ ეროვნულ ხელისუფლებებს აკისრებს უპირატეს ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რათა იძულებით გადაადგილებული პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი დაცვითა და დახმარებით.⁶ ხსენებული პრინციპები მოიცავს იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორებიცაა - გადაადგილებისაგან დაცვის, დაბრუნების, განსახლების, **სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის**, რეინტეგრაციის პრინციპებსა და სხვა. ასევე აცხადებს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუფერხებლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი აუცილებელ საკვებსა და სასმელი წყალზე, **თავშესაფარსა და საცხოვრებელზე**, შესაფერისი ტანისამოსზე, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასა და სანიტარულ მომსახურებაზე.⁷

სათანადო საცხოვრებლის უფლება განმარტა გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა. კომიტეტის განმარტებით, ბინის უფლება არ უნდა იქნეს განხილული ვიწრო ან შეზღუდული გაგებით, რაც მხოლოდ ქერის ქონას ნიშნავს. იგი განხილული უნდა იქნეს როგორც ნებისმიერ ადგილას უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლება.⁸ ამავე განმარტების მიხედვით, სათანადო საცხოვრებელი ნიშნავს ... ცალკე ბინას, ცხოვრების სათანადო ფართობს, **სათანადო უსაფრთხოებას**, სათანადო განათებასა და ვენტილაციას, სათანადო ძირითად ინფრასტრუქტურასა და ადგილმდებარეობას ...“.⁹

ეროვნულ დონეზე მიღებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის № 2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები პარლამენტის წინააღმდეგ. II, პ. 20.

⁶ „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“, მე- 3 პრინციპი.

⁷ „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“, მე- 18 პრინციპი.

⁸ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის N4 ზოგადი კომენტარი, პ. N7;

⁹ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის N4 ზოგადი კომენტარი, პ. N8;

წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანება (შემდგომში N779 ბრძანება), რომლითაც ეკომიგრანტთა განსახლება დარეგულირებული. მითითებული აქტი განსაზღვრავს იმ სტიქიურ მოვლენებს, რომელთა მიერ საცხოვრებლის განადგურების, დაზიანების ან მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ოჯახი ითვლება ეკომიგრანტად (განსახლებას დაქვემდებარებულად). ასეთი სტიქიური მოვლენებია: მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარეების ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი და **ჯღენადი გრუნტი**.¹⁰

ზემოაღნიშნულ საკითხთან ერთად, N779 ბრძანებით გაწერილია ეკომიგრანტთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობას. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი განსახლების რიგითობისას. ბ. ზ.-ს მიერ დადგენილი წესით შევსებული იქნა განაცხადი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე და შეფასების შედეგად ოჯახს 17.5 ერთეული ქულა მიენიჭა. როგორც საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, განმცხადებლის ოჯახს განაცხადის შეფასების შედეგად მინიჭებული ქულა არ შეცვლია, ხოლო 17.5 ერთეული ქულა საკმარისი იყო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუმცა კომისიამ ჩათვალა, რომ ოჯახი არსაჭიროებდა გადაუდებელ განსახლებას.

მითითებულ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეკომიგრანტთა განსახლების მარეგულირებელმა აქტმა - N779 ბრძანებამ დაადგინა კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმებისათვის გაითვალისწინა შესაბამისი ქულები, რათა შესაძლებელი იყოს განსახლების საჭიროების მქონე ოჯახების გამოვლენა და მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა რიგითობის საფუძველზე. დადგენილია, რომ ოჯახს სხვა საცხოვრებელი ფართი სადაც უსაფრთხოდ იცხოვრებენ, არ გააჩნია, ხოლო, ის სახლი სადაც ცხოვრობენ, შეფასებულია როგორც II კატეგორიით დაზიანებულად. მითითებული კატეგორიით დაზიანებულად ითვლება საცხოვრებელი სახლი, რომელიც არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარეების ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი, **ჯღენადი გრუნტი**), გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა, საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას.¹¹ დადგენილია ისიც, რომ განმცხადებლის ოჯახი არის მრავალსულიანი, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მის შემადგენლობაში 3 არასრულწლოვანია. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებულ ინფორმაციაზეც, რომლის მიხედვითაც, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ში (სადაც განმცხადებელი ცხოვრობს) არსებული სახლების დაზიანების მთავარი მიზეზი გრუნტის წყლების ღონეების ცვალებადობით გამოწვეული გრუნტის ჯღენადი პროცესები, კერძოდ თიხური გრუნტების თვისებების მკვეთრი დაქვეითებაა.

¹⁰ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანება, N1 დანართი, 1- ლი მუხლი, მე-2 პუნქტი.

¹¹ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანება, N3 დანართი, „ბ“ ქვეპუნქტი.

აღნიშნულით დასტურდება, რომ იმ სოფელში, სადაც მდებარეობს ბ. ზ.-ს საცხოვრებელი სახლი, არსებობს გეოლოგიური პროცესი - ჯდენადი გრუნტი. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ კი მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება ბ. ზ.-ს ოჯახის განსახლებაზე, ოჯახი არ საჭიროებს განსახლებას საფუძვლით. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, N779 ბრძანების ის ჩანაწერი, რომელიც უწყებას ანიჭებს უფლებამოსილებას არ განიხილოს იმ ეკომიგრანტი ოჯახების განაცხადები, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ დაზარალების გამო ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. ასევე სააგენტო უფლებამოსილია, ბოლო ეტაპზე განიხილოს იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულადობას.¹² როგორც უკვე აღინიშნა, ბ. ზ.-ს ოჯახი ცხოვრობს დაზიანებულ სახლში, ალტერნატიული საკუთრების/ფაქტობრივი მფლობელობის შესახებ სააგენტოს ინფორმაცია არ მოუწოდებია. ასევე, ბ. ზ. და მისი ოჯახი ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართს რომ არ ფლობს დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ კრიტერიუმში „ოჯახს არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში“ შესაბამისი ქულა აქვს მინიჭებული და აღნიშნული ქულა განხილვის შედეგად არ გაუქმებულა. ოჯახს ასევე შეუნარჩუნდა დაზარალების II კატეგორიისათვის განკუთვნილი ქულაც. რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახი უწყებამ ჩათვალა ეკომიგრანტად, თუმცა განსახლება გადაუდებელ საჭიროებად არ მიიჩნია. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, ბ. ზ.-ს ოჯახის განსახლების საკითხის განხილვისას სახეზე არ იყო ის წინაპირობები, რაც შესაძლოა განსახლების გადაუდებელი საჭიროების არარსებობად ჩათვლილიყო. კერძოდ, სახეზე არ იყო ალტერნატიული საცხოვრებლის ფაქტობრივად ან საკუთრების უფლებითფლობა.

დამატებით უნდა გამახვილდეს ყურადღება N779 ბრძანების იმ რეგულაციაზე, რომლის მიხედვითაც, კომისია ახორციელებს გამსვლელი ქულის მქონე განაცხადებიდან, შერჩევითი წესით და დეპარტამენტიდან ან/და სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მაღალი რისკის მქონე (მაგალითად, თუ განაცხადის დაკმაყოფილების საკითხის განხილვისას, მონიტორინგის ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საცხოვრებელი სახლის დაზიანების ან/და მის საკარმიდამო ნაკვეთში არსებული მდგომარეობა არსებითად არ შეესაბამება მინიჭებულ დაზიანების კატეგორიას, აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ფოტომასალითა და მონიტორინგის ოქმით) განაცხადების გადაგზავნას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულებისათვის, გეოლოგიური დასკვნის მიღების მიზნით.¹³ აღნიშნულის მიზანია სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული ოჯახი ნამდვილად არის თუ არა ეკომიგრანტი და პოტენციურად საფრთხე ადგება თუ არა მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მოცემულ საქმეში, სააგენტომ გვაცნობა, რომ ბ. ზ.-ს საცხოვრებლის „კონსტრუქცია

¹² საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანება, N1 დანართი, მე-2 მუხლი, მე-12 პუნქტი.

¹³ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანება, N1 დანართი, მე-2 მუხლი, მე-18 პუნქტი.

არის ერთიანი და ვიზუალურად რაიმე დაზიანება არ აღენიშნება. ასევე უზომი და მის მიმდებარედ არ აღინიშნება გეოლოგიური პროცესები” და აღნიშნულის გამო, ოჯახი არ საჭიროებდა გადაუდებელ განსახლებას. სწორედ მსგავსი შემთხვევებისთვის არსებობს ზემოაღნიშნული რეგულაცია, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ მინიჭებულ დაზიანების კატეგორიასა და ადგილზე მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობის კომპეტენტური ორგანოს დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტას გულისხმობს. მოცემულ შემთხვევაში სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მხრიდან არ არის გამოკვლევული ბ. ზ.-ს საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ სახეზე იყო თუ არა ისეთი სახის გეოლოგიური პროცესები, რაც საფრთხეს შეუქმნიდა მობინადრეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ხოლო, სააგენტოს არგუმენტი, რომ საცხოვრებელს ვიზუალურად არ აღენიშნება დაზიანება, არ არის განსახლებაზე უარის თქმის საფუძველი. ვინაიდან, დაზიანების ის კატეგორია, რაც განმცხადებლის ოჯახს აქვს მინიჭებული, გარემო პირობებიდან მომდინარე საფრთხეზე ამახვილებს ყურადღებას და არა საცხოვრებლის დაზიანებაზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა საცხოვრებლის მიმდებარედ გეოლოგიური პროცესების განვითარებასა და მისგან მომდინარე საფრთხეს ენიჭება. როგორც უკვე აღინიშნა, გეოლოგიური პროცესების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა და მიღებული ინფორმაციით სოფლის ტერიტორიაზე ჯდენადი გრუნტის მიმდინარე პროცესები დასტურდება. აღნიშნული ინფორმაციის სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გამოკვლევის შემთხვევაში, შესაძლოა საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილება მიღებულიყო.

ეკომიგრანტთა განსახლების საკითხის განხილვისას სპეციალურ კანონმდებლობასთან ერთად, უწყებამ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტებით. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.¹⁴ ამასთან, ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.¹⁵ გასათვალისწინებელია ისიც, რომ გადაწყვეტილებას, არ შეიძლება საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლევული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.¹⁶ ხოლო, მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას, რა გარემოებებსა და სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით მივიდა უწყება საკითხის ამგვარ გადაწყვეტამდე.¹⁷ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს მისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღებისას იმსჯელოს საკითხის იმგვარად გადაწყვეტაზე, რომ არ შეილახოს პირის კანონით გარანტირებული უფლებები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული

¹⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი

¹⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁶ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები.

ორგანოს მხრიდან წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან წარმოების პროცედურების გაუთვალისწინებლობა წინააღმდეგობაშია ქვეყნის კანონმდებლობით გარანტირებულ პირის პროცესუალურ უფლებებთან და არ შეესაბამება კანონიერი მმართველობის სტანდარტებს.¹⁸ ყოველივე აღნიშნული კი გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი მხრივ უნდა იყოს სრულყოფილად გამოკვლეული, დასაბუთებული, ხოლო მეორე მხრივ შესაბამისობაში უნდა იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან. მოცემულ საქმეში კი სახეზეა, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ ბ. ზ.-ს ოჯახის განსახლების თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილება არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ასევე გამოცემულია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების - განმცხადებლის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ გეოლოგიური პროცესების თაობაზე შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის არარსებობის პირობებში. მითითებული გარემოების სრულყოფილად გამოკვლევის შემთხვევაში კი ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა სხვაგვარ გადაწყვეტამდემისულიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად. დასახელებული სამართლებრივი საფუძვლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

3. დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის აპარატი მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 20 ივლისის N IDP 822 0000678 ბრძანება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, მიღებულია საქმისათვის ყველა მნიშვნელოვანი გარემოების შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე, არ არის სათანადოდ დასაბუთებული და არღვევს ბ. ზ.-ს ოჯახის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

- წარმოდგენილი რეკომენდაციის მხედველობაში მიღებით განაახლოთ ადმინისტრაციული წარმოება სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 20 ივლისის N IDP 822 0000678 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით;

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 ივლისის Nბს-60-55(კ-13) საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

- სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2022 წლის 20 ივლისის N ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების შემდეგ, იმსჯელოთ შესაბამისი ორგანოსათვის (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო) მიმართვასთან დაკავშირებით, რათა გამოკვლეული იქნეს ბ. ზ.-ს საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ განვითარებული გეოლოგიური პროცესები უქმნის თუ არა საფრთხეს განმცხადებლის საცხოვრებელს ან/და საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოების გამოკვლევის საფუძველზე მიიღოთ ახალი, დასაბუთებული გადაწყვეტილება ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში აცნობოთ სახალხო დამცველის აპარატს.

პატივისცემით,

თამარ გვარამაძე



სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი

